



ახალი ბუნათელეს

2014 წელი, 16-22 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№30 (664) ბაგოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



სასერტიფიკაციო გამოსლა – ახულიაბელი, მებრამ არასაკმარისი კირობა

სოფო დოლიძე:

„მხოლოდ შეფასებით ვერაფერს იზამ, ეს მხოლოდ სურათის დანახვის შესაძლებლობას იძლევა, მებრამ როგორ უნდა უშველო, როგორ აღმოფხვრა სარგებო და უკეთესობისკენ წაიყვანო, ამას მთელი რიგი აქტივობები სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, აქამდე არ განხორციელდა.“

გვერდი 4-5

**სსსმ
ბავშვების
სწავლების
პროცესის
გაადვილების
კირველი ცდა**
მრავალფეროვანი
სასწავლო რესურსები
და სწავლების მოქნილი
მეთოდები

გვერდი 3



მიმდინარეობს ხელმოწერა



3 ლარი




5.50 ლარი



5.50 ლარი



6 ლარი



3 ლარი



6 ლარი

ასოციაცია „ზეპარი“ სავიწროვლოდ სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის გიგლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიწოდებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებში, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პერიოდიტივებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა

მასწავლებლის გიგლიოთეკა

და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში.

ასოციაცია „ზეპარი“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შედეგები როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის გიგლიოთეკისთვის. შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

ანოტაციები იხ. გვერდი 2



ინფორმაცია

ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის პროექტებში ქართველი ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვა განიხილება

თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის პროექტებში ქართველი ახალგაზრდების ჩართვის პერსპექტივა განიხილება. აღნიშნულ საკითხზე, იტალიაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძემ თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის საპატიო დირექტორ ლუჩიანო ბერტოჩისთან შეხვედრაზე იმსჯელეს.

შესაბამისად, თანამედროვე პრობლემების კვლევებში ჩასართველად. დასრულდა თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებული საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც ესწრებოდნენ: 6 ქვეყნის განათლების მინისტრები, ქვეყნების პრეზიდენტები, ნობელის პრემიის ლაურეატები, UNESCO-ს გენერალური მდივანი, ცერნის ბირთვული ფიზიკის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი და სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელი. სიმპოზიუმის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციის შეხვედრები გაიმართა იუნესკოს გენერალურ მდივანთან, ცერნის ბირთვული კვლევების ხელმძღვანელებთან. შედეგად, საქართველოს ცერნში ასოცირებული ნევრობის საკითხი აქტიურ ფაზაში გადავიდა.



მასწავლებლის გიგანტობა

მასწავლებლის საშუალო რეპუტაცია

მასწავლებლის საშუალო რეპუტაციის პრობლემის განუყოფელი ნაწილია. რეპუტაციის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

- 1. საჭიროებისამებრ შეაფასოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გააცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გააცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

მასწავლებლის კალენდარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია დაგეგმოს და ჩაინიშნოს მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

დაამრავლის პროტოკოლი

დაამრავლის პროტოკოლი საშუალებას აძლევს დაამრავლოს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მასწავლებლის საქმიანობები. გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პროტოკოლი შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დაამრავლებს პროტოკოლის წარმოებაში და დაამრავლის საქმიანობის განხორციელებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია ინტერაქტიური სწავლების მეთოდები; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციის მიხედვით. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებს. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგობრივი ფაქტორების სტუდენტებს.

კათედრის გაგების პროტოკოლი

კათედრის გაგების პროტოკოლი საშუალებას აძლევს კათედრის გაგებას აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პროტოკოლი შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პროტოკოლის წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის განცხადება

კონკურსის გამომცხადების შესახებ
„შეაღწევის განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და შპს „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის“ წესდების IX თავის საფუძველზე, 2014 წლის 16 ოქტომბრიდან, სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტში ცხადდება ღია კონკურსი პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი დარგების/მიმართულებების მიხედვით:
1) მიმართულებათაშორისო დარგები (ტურიზმი) – ასოცირებული პროფესორის ორი ვაკანსია;
2) ჯანდაცვის მიმართულება (ფარმაცია) – ასოცირებული პროფესორის ორი ვაკანსია;
3) სოციალურ მეცნიერებათა მიმართულება:
ა) საერთაშორისო ურთიერთობები – ასოცირებული პროფესორის ორი ვაკანსია;
ბ) საზოგადოებრივი ურთიერთობები – ასოცირებული პროფესორის სამი ვაკანსია.
4) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულება –
ა) პროფესორის ორი ვაკანსია;
ბ) ასოცირებული პროფესორის ერთი ვაკანსია.
5) სამართლის მიმართულება:
ა) პროფესორის ორი ვაკანსია;
ბ) ასოცირებული პროფესორის ორი ვაკანსია;
გ) ასისტენტ-პროფესორის ორი ვაკანსია.

აკადემიური პერსონალის საკონკურსო კრიტერიუმები:
პირითადი კრიტერიუმები:
ა) დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.
საკონკურსო მოთხოვნები
პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
გ) აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები – არანაკლებ ორი სამეცნიერო ნაშრომი/პუბლიკაცია.
ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:
ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
გ) აქტუალური სამეცნიერო პუბლიკაციები.

საკონკურსო დოკუმენტაცია
აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღების პერიოდად განისაზღვროს ვადა 2014 წლის 17 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 1 დეკემბერს. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2014 წლის 2 დეკემბერს.
საბუთების მიღება ინარჩუნებს უნივერსიტეტის კანცელარიაში დილის 10 საათიდან 17 საათის ჩათვლით შემდეგ მისამართზე:
ა) გორი, ცხინვალის გზ. №9;
ბ) თბილისი, პოლიტექნოსკაიას ქ. №9.
საბუთების ელექტრონული მიღება ინარჩუნებს ელექტრონული ფოსტის: sukhishvili.university@yahoo.com მეშვეობით.
ვადის ან მოთხოვნილი პირობების დარღვევით წარდგენილი განცხადება და დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის შესახებ რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

კონკურსის შედეგები დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასარჩევად გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში – გორის რაიონულ სასამართლოში.
მისამართი: გორი, ჯორჯენაძის N30.
საკონკურსო კომისიის სამდივნოს საკონტაქტო რეკვიზიტები: ა) გორი, ტელ: (0 370) 27 05 57; ბ) თბილისი. ტელ: 0 32 2 51 94 95.
შპს „სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი“ საკონკურსო კომისია

საქალაქური თემა

კლასებში საგნობრივი პრობლემები. ამიტომ თავიდან მხოლოდ ქართულის მასწავლებლებმა...

გვაქვს აკადემიური უნარების ნაწილიც, რადგან ეს ის უნარებია, რომლებსაც სწორედ დანყებით საფეხურზე უქმნის ბაზა მასწავლებელი...

საგნობრივი ნაწილი; მეორე დღეს – კითხვისა და წერის სწავლებას პლუს უნარები. ეს იყო მხოლოდ იდეა...

რატომ გაისმის ხოლმე, რომ თვითონ სისტემა ჩიხში? იმიტომ, რომ, წესით, პედაგოგი, რომელსაც 2015 წლამდე არ ექნებოდა ხელთ...

არასწორია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, ტრენინგებით, ძალიან დიდ ძალისხმევას ხარჯავს...

არ არის აუცილებელი ხელფასის ზრდა დამოკიდებული იყოს სერტიფიკატზე...

დაგეგმვა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა და ამ თვალსაზრისით...

რაც შეეხება რესურსების შექმნას – ის, რომ იქმნება გამოცდებისთვის მოსამზადებელი კრებულები...

ვფიქრობ, რომ პრობლემა ამაშია და სწორედ ამიტომ შევიდა სისტემა ჩიხში და არა იმიტომ...

ესაუბრა ლალი თვალაბაიშვილი

UNICEF

შემაჯობოთიხელი სტატისტიკა და 2 ლარის აბარა ღარჩენილი ბავშვები



„დროა უფრო გადამწყვეტი ქმედებებისა, რათა შესრულდეს 2014 წლის ბავშვის უფლებათა დაცვის წლად გამოცხადებისას ნაკისრი ვალდებულებები“ – ასე მიმართა 7 ოქტომბერს UNICEF-ის წარმომადგენელმა საქართველოში...

ლოვანია კვების დეფიციტთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. საქართველოში 500 000-ზე მეტი ქალი და ბავშვი განიცადის კვების დეფიციტს რაიმე ფორმით.

ცვლილებები კანონში სოციალური დაცვის შესახებ ითვალისწინებს სოციალური დაცვის სერვისების გადამხმარებას, რათა გაიზარდოს მიზნობრივი სოციალური დახმარების ეფექტიანობა და სისტემამ უკეთ გაითვალისწინოს ბავშვთა ინტერესები.

ცვლილებები კანონში პაციენტთა უფლებების შესახებ ითვალისწინებს მოზარდთა მიერ აივ კონსულტირებისა და ტესტირების სერვისებით სარგებლობის სამართლებრივი და მარეგულირებელი ბარიერების შემცირებას.

საკანონმდებლო პაკეტი ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვებისათვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ბავშვებისათვის განათლების, ჯანდაცვის და სხვა სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობას.

შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ – უზრუნველყოფს ცივად აღიარებული კანონმდებლობის შესაბამისობას ბავშვის უფლებათა და საერთაშორისო გამჟღავნების შესახებ ჰააგის კონვენციებთან.

„გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით წარმოდგენილი კონცეფცია და სამოქმედო გეგმა, რომელიც დაემატიკეთ, გულისხმობს წლის ბოლომდე ძალიან მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივების განხილვას და საკანონმდებლო ცვლილებებს, ასევე, რამდენიმე მნიშვნელოვან დონისძიებას, რომელიც ბავშვთა უფლებების დაცვას ეხება. ამ საკითხებს აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვიხილათ. რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივის წინასწარი მოხმება იმ მიზნით ტარდება, რომ მათი შემდგომი ინიციატივების დროს გაცილებით ეფექტურად და სწრაფად ვიმუშაოთ“ – აღნიშნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ.

ბავშვთა უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლის შემამოწმებელი სტატისტიკის გამო, იუნისეფი ხელისუფლებას სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირებას ურჩევს. ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებლის ზოგადი კლების ფონ-

ზე, ბავშვთა ეროვნული სიღარიბე, იუნისეფის მონაცემების კვლევის თანახმად, 25-დან 27 პროცენტამდე გაიზარდა.

„საქართველოში ძალიან ბევრი ბავშვია ყურადღების გარეშე დარჩენილი: 50 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და მოხმარს უფრო ნაკლებს, ვიდრე საარსებო მინიმუმის ნახევარია; შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვები, რომლებიც მოკლებულნი არიან ოჯახურ გარემოს; ძალადობის მსხვერპლი და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები; 2 388 სკოლის გარეთ დარჩენილი ბავშვი; 300 ბავშვი იღუპება ყოველწლიურად კვების დეფიციტით გამოწვეული დარღვევების გამო; ბავშვები, რომლებიც წარმოდგენენ ეთნიკურ უმცირესობას, ცხოვრობენ ძნელად მისაღწევ ან კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში – აცხადებს საშა გრაუმანი, – ყველა ინიციატივა, რომელიც სოციალურ დაცვაში ხორციელდება, სამუხაროდ, ბავშვებამდე ვერ აღწევდა. შედეგად მივიღეთ ის, რომ თუ სიღარიბე ქვეყანაში, გარკვეულწილად, შემცირდა, ბავშვთა სიღარიბე პირიქით – გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სისტემა, რომელიც საქართველოში მოქმედებს, კარგად ვერ ხედავს ბავშვებს და ბავშვიან ოჯახებს. საქართველოში ბავშვთა სიღარიბე 50 პროცენტით მაღალია, ზოგადად მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელთან შედარებით“.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე რამდენიმე მოდელის პრეზენტაცია გაიმართა. რეკომენდაციის თანახმად, სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრებმა ბავშვებმა დანამატი უნდა მიიღონ. იუნისეფის წარმომადგენელთა დაანგარიშებით, თუ ხელისუფლება სოციალურ პროგრამებზე თვეში, დამატებით, 4-6 ნახევარ, 5 მილიონ ლარამდე დახარჯავს, 60 პროცენტით შემცირდება სიღარიბე ბავშვებში, ხოლო 30-40 პროცენტით – დანარჩენ მოსახლეობაში. გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური პროგრამების ხელმძღვანელი, თინათინ ბაუმის განცხადებით: „თუ ოჯახში არ არსებობს დანამატი ბავშვზე და ყველას ერთნაირად მივცემთ სოციალურ დახმარებას, ბავშვები მაინც უფრო ღარიბები დარჩებიან, ვიდრე დანარჩენი მოსახლეობა“.

გათვალისწინებს თუ არა ჯანდაცვის სამინისტრო ბავშვთა სიღარიბესთან დაკავშირებულ რკომენდაციებს, ამის შესახებ ჯერჯერობით გადანაცვლებული არ არის მიღებული. ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, დავით ლომიძის განცხადებით, ფინანსთა სამინისტროსთან გადიან კონსულტაციებს, რადგან ყველაფერი თანხებთანა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, კონსულტაციები გაგრძელდება პარლამენტთანაც და გადანაცვლებას წლის ბოლოს მიიღებენ. გადანაცვლებამდე კი, სოცი-

ალურ დახმარებას ის ოჯახები იღებენ, რომელთა სარეგისტრო ქულა 57 ათასს არ აღემატება, ოჯახის უზუცესი წევრი 60 ლარს, ხოლო დანარჩენები კი 48 ლარის ოდენობის დახმარებას იღებენ. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, 1 იანვრიდან, ქულების დათვლის მეთოდოლოგიაც შეიცვლება – სოციალურად დაუცველის სტატუსის მისანიჭებლად, საყოფაცხოვრებო ნივთების რაოდენობის დათვლის ნაცვლად, ოჯახის შემოსავლები დაითვლება. თუმცა, იუნისეფი, ბავშვთა სიღარიბის დასაძლევად, მხოლოდ ამ ცვლილებებს საკმარისად არ მიიჩნევს.

„წარმოდგენილი კანონპროექტებსა და საკანონმდებლო ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ამ ბავშვების ცხოვრებაზე. მაღლიერებს გამოეხატება პარლამენტისა და მთავრობის მიმართ კანონპროექტების შემუშავებისათვის. ვიმედოვნებთ, პარლამენტი მიიღებს აღნიშნულ კანონპროექტებს სამშობლოში სენსიაზე, რითაც შეასრულებს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მან 2014 წლის ბავშვის უფლებათა დაცვის წლად გამოცხადებით იკისრა“ – ამბობს საშა გრაუმანი.

ბავშვთა უფლებების დაცვის წელი, იმედია, რეალურად შეამცირებს ამ შემამოწმებელ მაჩვენებლებს და ხელისუფლება გრაუმანის მონოდებას – „დროა უფრო გადამწყვეტი ქმედებებისა“ – მხოლოდ მონოდებად არ დატოვებს. რაც მთავარია, იუნისეფის რეკომენდაციები გათვალისწინებულია ბავშვთა უფლებების დასაცავად. „საპარლამენტო კომიტეტების ერთობლივი შეხვედრა მნიშვნელოვანია გადამწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად და იმის განსაზღვრისთვის, რა არის საჭირო აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივების მიღების დაჩქარებისათვის. ახლა პარლამენტარების ხელშია იმის უზრუნველყოფა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო გადანაცვლებების შედეგად ბავშვები საქართველოში უკეთ იყვნენ დაცულნი“ – განაცხადა საშა გრაუმანმა.

შეგახსენებთ, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი 2011 წელს 25%-დან 2013 წელს 27%-მდე გაიზარდა; საქართველოს 0-16 წლის ბავშვების 27% სიღარიბეში ცხოვრობს, აქედან 50 000 ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში განიცდის და დღეში 2 ლარზე ნაკლებს მოიხმარს – ჩვენს ქვეყანაში ბავშვების უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებელი 50%-ით აღემატება ზოგადად მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელს.

მოამზადა ლალი ჯაქაძე

ნობელიანტი

„ვინ არის მალალა?“ – გაიგონა და კითხვიდან გასროლამდე განვლილ წამებში დაინტერესდა, იყვნენ თუ არა ავტობუსში ასული მამაკაცები, რომლებიც მის მეგობარს ეძებდნენ, ჟურნალისტები. მალევე მიხვდა, რომ მალალამ საფრთხე იგრძნო.

ჩავიდა. ექიმთა ჯგუფში იყო ჯავიდი კიანი, რომელიც წარმოშობით პაკისტანელია, თუმცა ბრიტანეთში მუშაობს და სამშობლოსთან ურთიერთობას ინარჩუნებს. მალალას ასაკიდან გამომდინარე, მან დახმარება ინტენსიური პედიატრიული ზრუნვის სპეციალისტს, ფიონა რეინოლდს სთხოვა: „მას ესროლეს, რადგან განათლების მიღება სურდა. მე პაკისტანში ვარ, რადგან ვარ ქალი, რომელსაც განათლება მიღებულ აქვს და მივხვდი, რომ არ შეეძლო „არა“-ს თქმა“ – ამბობს რეინოლდსი.

და გავიფიქრე, მადლობა ღმერთს, მადლობა ალაჰს, რომ კიდევ ერთი სიცოცხლე მომცა და გადავრჩი“ – იხსენებს მალალა. ამ დროს მისი ოჯახი ჯერ კიდევ პაკისტანში იმყოფებოდა, მაგრამ გოგონას გვერდით ექიმი კიანი იყო, რომელმაც აუხსნა, თუ სად იყო: „ვიცოდი, რომ არ შეეძლო საუბარი, რადგან ყელში მილი ჰქონდა ჩადგმული სუნთქვის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ეს მოდა ჩვენი და ვუთხარი, სადაც იმყოფებოდა. მალალამ თვალეების მოძრაობით მანიშნა, რომ გაიგო“ – ამბობს კიანი.

შტაბ-ბინაში იმყოფებოდა, ნიუ-იორკში, სპეციალურად მონვეული ახალგაზრდების ასამბლეაზე. ეს მისი მე-16 დაბადების დღე იყო და მის გამოსვლას მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადასცემდნენ.


ბას იყრობს, განსაკუთრებით დასაუფლები: „კრიტიკა მათი უფლებაა, მე კი მათებს ჩემი უფლება, ვთქვამს, რაც მსურს. ჩემი სურვილია განათლებისთვის რაღაც გავაკეთო“ – ამბობს მალალა.

მაინს რა არის სიკეთე

7 ოქტომბერს, თბილისის №72 საჯარო სკოლაში, II კლასის ინიციატივით (პედაგოგი – ნატო ხაჭაპურიძე), საქველმოქმედო აქცია ჩატარდა „ერთად ვაკეთოთ სიკეთე“. მისი მიზანი იყო გამოფენა-გაყიდვის შედეგად შემოსული თანხა ჩარიცხულიყო დიტო ცინცაძის სახელობის ფონდში ლეიკემიით დაავადებული პატარების დასახმარებლად.



სწორედ ეს „პატარ-პატარა კეთილი საქმეები“ ნაკითხვით აქციის დაწყებამდე... საქველმოქმედო აქციის გახსნას დაეწინააღმდეგა დიტო ცინცაძის ფონდის დამაარსებელი, ბატონი კახა ჯანაშვილი, თავად დიტო ცინცაძე, ისანი-სამგორის რესურსცენტრის წარმომადგენელი მადონა ქელეს-საშვილი, სკოლის დირექტორი, მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები... კეთილი საქმის გასაკეთებლად მთელი სკოლა დაირაზმა და მხარში ამოუდგა პატარებს. გამოფენა-გაყიდვაზე წარმოდგენილი იყო ბავშვების ნახატები, აბლიკაციები. ასევე მათი მშობლების, ნათესავების მიერ მოსოვილი, დაქარგული, დახატული ნამუშევრები. იყო თეკით, ვერცხლით და მძივებით შესრულებული ნივთები. II კლასისა და მათი ახლობლების ნამუშევრებს სკოლის ხელოვნების მასწავლებლებმა – სალომე ასანიძემ, გალია ხაჭაპურიძემ – სხვადასხვა კლასის მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრებიც შემოამატეს. დადგით შესანიშნავი ყუთი და ბილბორდი. სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების აქტიურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დღის ბოლოს ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა საგანგებოდ შექნილმა კომისიამ თანხა დათვალა... 1280 ლარი იმ დღესვე ჩავრიცხეთ ფონდის სახელზე და კმაყოფილები დავრჩით, რომ შექმნილი ამ დიდ საქმეში ჩვენი მცირე წვლილი შეტანა, რისთვისაც სკოლის დირექტორმა მანანა კიკაჩივილი და დიდ მადლობა გადაუხადა ყველას აქტიურობისა და თანადგომისთვის. ეს მშობელთა და თემის ჩართულობის ნამდვილი მაგალითია.



დაუვიწყარი დღე 72-ე საჯარო სკოლაში

4 ოქტომბერს, 72-ე საჯარო სკოლაში, მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება-კონცერტი ჩატარდა, რომელშიც სკოლის პედაგოგები მონაწილეობდნენ. მათვე გამოეფინათ და მოურთოთ დარბაზი თავიანთი ხელნაკეთი ნივთებით, ნაქარგებით, ნახატებით, გობელენებით და ა.შ. ეს დღე განსაკუთრებული იყო იმიტომაც, რომ პედაგოგებმა დამსახურებულ პენსიაზე გააცილა ღვაწლმოსილი მასწავლებელი მარიეტა ოგანეზოვა, რომელიც 50 წლის განმავლობაში ასწავლიდა გეოგრაფიას. თაობათა აღმზრდელ პედაგოგს კოლეგებმა ბევრი თბილი სიტყვა, სიმღერა და ლექსი მიუძღვნეს. ღონისძიებას, რომელიც სკოლის დირექტორის მანანა კიკაჩივილის ინიციატივით ჩატარდა, ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის წევრი, კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი შოთა საბარელი, რომელმაც მიულოცა პედაგოგებს პროფესიული დღე და იმ სასიკეთო ცვლილებებზე ისაუბრა, რომელიც ახლო მომავალში ელო-

დებოდა მათ. მრავალეროვან საქართველოში, მრავალეროვანი სკოლის ეს ღონისძიება ნათელი მაგალითია დაფასების, მეგობრობის, თანამშრომლობის, რითაც ამაყობს ჩვენი ქვეყანა – აღნიშნა მან. ღონისძიების ბოლოს სტუმრები და პედაგოგები პირველ სართულზე ჩავიდნენ, სადაც ქალბატონმა მარიეტა ოგანეზოვამ ფარდა ჩამოსხსნა დაფას – „ქედს ვიხრით თქვენი პედაგოგიური ღვაწლის წინაშე!“ – რომელზეც ჯერ მხოლოდ მისი გვარი წერია და რომელსაც დაემატება ყველა იმ ღვაწლმოსილი პედაგოგის გვარი და სახელი, ვინც მოისურვებს დამსახურებულ პენსიაზე გასვლას. დასასრულ, ქალბატონმა მარიეტამ მადლობა გადაუხადა დირექტორს და კოლეგებს სიტობოსა და სიყვარულისთვის. აღნიშნა, რომ ვერასდროს იოცნებებდა ასეთ გაცილებას და რომ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი.



თამარ ტალახაძე პედაგოგი

სპორტი

ძიულო სკოლებში

ყვარლის მუნიციპალიტეტის ხუთ საჯარო სკოლაში, უკვე მეორე წელიწადია, ძიულოს გაკვეთილები ტარდება. ეს შესაძლებელი გახდა ძიულოს ევროპული კავშირის პროგრამის ფარგლებში, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთანაა შეთანხმებული. პროექტს მხარი აქტიურად დაუჭირეს საქართველოს ძიულოს ფედერაციამ და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ. მათი ერთობლივი ძალისხმევით წინასწარ შერჩეულ სკოლებში გაარემონტეს დარბაზები, დააგეს ტატამები, მსურველებს კი გადასცეს სპორტული ფორმა. ამასთან, დაურიგეს საგანგებოდ ამ პროგრამის ფარგლებში გამოცემული და ქართულად ნათარგმნი ძიულოს სახელმძღვანელოები და ვიდეოკასეტები, რაც მოსწავლეებს პრაქტიკულ მეცადინეობებში დიდად ეხმარება. ამასთან, ძიულოს ევროპულმა კავშირმა უზრუნველყო ევროპიდან გამოცდილი, მა-

ლალკვალიფიციური ინსტრუქტორების ჩამოსვლა ყვარლის სკოლებში, რომლებმაც მსურველებს მეცადინეობები ჩაუტარეს და მწვრთნელთა გადამზადებაზეც იზრუნეს. საბედნიეროდ, ამ სიახლემ მოზარდებში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია და არა მხოლოდ ბიჭებში – დარბაზებს არანაკლები რაოდენობით მიაშურეს გოგონებმაც, რომლებიც ტოლს არ უდებენ ბიჭებს. ბავშვები ჯერჯერობით პირველ ნაბიჯებს დგამენ ძიულოში, თუმცა ეს ისეთი ნაბიჯებია, რომელიც ზოგადად ცხოვრებაშიც გამოადგებათ, რადგან უვითარებს კოორდინაციას, მოქნილობას, ელასტიურობას, ხელს უწყობს ორგანიზმის გაკაულებას, ჯანმრთელობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ პატარები ადრეიდანვე ეჩვენებიან დისციპლინას, რეჟიმს. ცხადია, ყველა მათგანი არ გაჰყვება ძიულოს და ყველა ვერ გახდება დიდი ჩემპიონი, მაგრამ ჯანმრთელ მოზარდებდა მინც გავრავლებიან.



ეს პროექტი წლეულსაც გაგრძელდა დაწყებით კლასებში და ძიულოს ჯგუფებმა უკვე მეორე ნაკადი მიიღეს. მათთვის ძიულოს ფედერაციამ წლეულსაც ჩაიტანა სახელმძღ-

ვანელოები და ვიდეომასალა, სპორტული საშუალებები... განზრახულია, რომ ეს პროექტი კახეთის სხვა რაიონებშიც გაგრძელდეს, რაც ძალიან კარგი საქმე იქნება.

ფეხბურთელები ელიტრაუნდში გავიდნენ



საქართველოს 19-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გავიდა. შესარჩევი ეტაპის თამაშებს, ამ დღეებში, თბილისში უმასპინძლა და მასპინძლებმა ჯგუფში გამოსვლა მეორე ადგილი დაასრულეს. გიორგი დედოძის განვრთნილმა გუნდმა პირველ შეხვედრაში ჩერნოგორიასთან 0:2 მარცხის შემდეგ ერთნაირი ანგარიშით – 3:1 სძლია კვიპროსსა და რუმინულს. ჩვენებისთვის პრინციპული სწორედ კარპატელებთან თამაში იყო, რომელიც უჩვეულო აღმავლობით ჩაატარეს და მასურებული ფრიად ასიაშოვნეს ლამაზი, სწრაფი, ტაქტიკურად სწორად წარმართული თამაშით. შედეგიც მიიღეს, თუმცა თავიდან ჩამორჩნენ – მე-2 ნუთზე ცნობილი საფეხბურთო გვარის წარმომადგენელმა გეორგი პუშკაშუმ სტუმრები დაანინაურა – 0:1. საბედნიეროდ, ამან ჩვენები არ დააზინა და ანგარიშის გასათანაბრებლად 7 ნუთი დასჭირდა, გოლი კი მრავალსკლიანი კომბინაციით გავიდა – გიორგი ბერიძის პასი გრიგოლ ჩაბრაძემ საჯარიმოში წლეევანდამდე უცნობ, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად იტალიურ „ემპოლიში“ ჩარიცხულ რომან ჭანტუიას გადაანოდა, მან კი ერთი შეხებით დაუგდო ოთარ

კიტეიშვილს, ვისაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. მასპინძელთა მასივებულ შტურმს სტუმრებმა სულ ხუთიოდ ნუთი გაუძლეს, მეორე კი ბერიძე-კიტეიშვილის კომბინაცია რუსეთში „მეტალურგის“ ფორცხვამდე მეორე გოლით დაასრულა და დუბლი მიითვალა. აქვე გეტყვი, რომ ის 3 გოლით ქვეჯგუფის ბომბარდირი გახდა, ხოლო ჩვენებმა შესაბამისად გოლი მეორე ტაიმში, თამაშის განახლებიდან 3 ნუთში გაიტანეს – ფლანგური შეტევების შემდეგ თანაგუნდელებმა დასარტყმელ პოზიციაზე ჭანტურია გაიყვანეს, მაგრამ კარში მიმავალ ბურთს მეტოქის მეკარე გადაეღობა. სამაგიეროდ, გოლიკვირმა ზურაბ მალანის დამატებაზე დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა – 3:1 და ჩვენი ნაკრები ელიტრაუნდში გავიდა, რომლის კენჭისყრაც 3 დეკემბერს გაიმართება. აღსანიშნავია, რომ დედოძისა მეორედ გაჰყავს საქართველოს ასაკობრივი ნაკრები ელიტრაუნდში. პირველად მან ეს ორი წლის წინ, 17-წლამდელებთან მუშაობისას შეძლო. საინტერესოა, რომ შესარჩევი ეტაპს მაშინაც თბილისში უმასპინძლა, ჩვენები პირველ პაექრობაში მაშინაც დამარცხდნენ და მომდევნო ორი თამაშის მოგებით ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ.

აფრიკელს ისევ მოუბეს

საქართველოში ტურნე დაასრულა სამხრეთ აფრიკული სარაგბო კლუბის – „აფენის“ 15 და 17-წლამდელობის გუნდმა, რომელიც ძირითადად ჩრდილოეთის კონტინენტისა და საუტენის (ყოფილი ტრანსვაალის) პროვინციების მორაგებებით იყო დაკომპლექტებული. თბილისისა და ქუთაისში გამართულ წინა ორ ტურში ჩვენებმა ოთხიდან სამი პაექრობა მოიგეს. შესაბამისად ტურნე 10 ოქტომბერს ისევ დედაქალაქში, „შევერდენის“ სანაკრებო ბაზაზე გაიმართა და ორივე შეხვედრაში მასპინძლებმა იძალეს. თავდაპირველად ჩვენმა 15-წლამდელებმა სტუმართა 14-იანებს 14:5 მოუგო, მეორე კი 17-წლიანმა ქართველებმა ერთი წლით უმცროს აფრიკელებს ბევრად დიდი ანგარიშით, 49:3 აჯობეს. უარყოფითი ბალანსის მიუხედავად, სტუმართა მთავარი მწვრთნელი ბერნარდ ფეხერი მინც ფრიად კმაყოფილი დარჩა ტურნეით და გაისად სტუმრობას დაგვირდოდა. თანაც უკვე არა ორი, არამედ ოთხი გუნდით. ამასთან, ისიც დაამატა, რომ არ მოელოდა ასეთ ძლიერ წინააღმდეგობას. „ჩვენ საკმაოდ ხშირად ვმარ-

თავთ ტურნეებს და განებივრებულნი ვართ მოგებებით. შესაბამისად, გვსურდა უფროსებთან თამაში. მინდა შევავთ ქართული გუნდები, ვინაიდან მათ თანამედროვე და სწრაფი რაგბი შემოგვტავაზეს. ჩვენმა გუნდმა კარგი გამოცდილება მიიღო და მიმჩნია, რომ ასეთი მატჩები ჭაბუკი მორაგებებისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან მიღებული გამოცდილება მათ მთელი ცხოვრების მანძილზე გასდევთ. გაისად ისევ ვაპირებთ ქართული ტურნეს გამართვას, რომელზეც 13, 14, 16 და 19-წლამდელობის გუნდებს ჩამოვიყვანთ, მაგრამ გაისად უკვე თანატოლებთან ვითამაშებთ და არა უფროსებთან. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქართულ მხარეს მასპინძლობისთვის და ასეთი დონის მატჩების ორგანიზებისთვის. რაგბის სიყვარული ჩვენს სისხლშია და მიხარია, საქართველოშიც ანალოგიურად რომ უყვართ ეს თამაში“ – განაცხადა მან. სტუმართა თავკაცის აღფრთოვანება გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ, მაგალითად, ქუთაისში გამართულ მატჩებს 3 000-მდე გულშემატკივარი დაესწრო.



გაირკვა გაისად თბილისში გასამართი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ხელბურთელთა ტურნირის მონაწილენი. ჩვენს გუნდებს – გოგონებსაც და ბიჭებსაც შეჯიბრებაში გამოსვლა ავტომატურად აქვთ მინიჭებული, როგორც მასპინძლებს, გოგონებში კი ეს

მეტოქეები გაირკვა

უფლება 19-წლამდელობისა და 18-წლიანთა ევროპის ღია ჩემპიონატის შედეგებით მოიპოვეს: რუსეთმა, დანიამ, ნორვეგიამ, ჩეხეთმა, რუმინეთმა, გერმანიამ და ჩერნოგორიამ. ბიჭებში – საფრანგეთი, უნგრეთი, ესპანეთი, დანია, სლოვენია, ნორვეგია და შედეგით, ოლონდ ამათგან სლოვენია და ნორვეგია შარშანვე დაუმეგეს, როგორც ორი წლის წინ უტრეხტში ჩატარებული ანალოგიური ფესტივალის, შესაბამისად, ჩემპიონი და ფინალისტი, დანარჩენებმა კი ეს უფლება 18-წლამდელობისა და 17-წლამდელობის ევროპული კავშირის მონაწილეობაზე გაინადდეს. ამ გუნდებმა 31 ოქტომბრამდე უნდა დაადასტურონ მონაწილეობის სურვილი, ხოლო თუ რომელიმე მათგანი

ბოდა და ცოცხლობდა, ქალებისა კი სულს ლაფავდა, პერიოდულად თუ გაივლევდა აქა-იქ რომელიმე გუნდი. ამ ფესტივალისთვის მზადების ფარგლებში შეიქმნა ბავშვთა გუნდები რამდენიმე ასაკში, ტარდება საქართველოს ჩემპიონატი ასევე სხვადასხვა ასაკში, რომელიც სულ უფრო ორგანიზებულ სახეს იღებს და დღეს მისი არსებობა ნამდვილად არ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ ფესტივალისთვის თბილისში შენდება 10-მდე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული ბაზა, რომელიც დიდი შენაძენი იქნება ქართული სპორტისთვის. ეს იმ დონის დარბაზებია, სადაც თამაზად შეიძლება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ჩატარება უფროსებში, რაც აქამდე ქვეყნისთვის სერიოზული პრობ-

რუბრიკის უძღვეს ირაპლი თაბაძე



მიმდინარეობს ხელმოწერა

ბთავაზოტ ტესტების ქრებულს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული ქრებულის ფასი - 10 ლარი



წიგნი I - ძველი ქართული მწერლობა; წიგნი II - „ვეფხისტყაოსანი“; წიგნი III - XIX საუკუნის მწერლობა



საქართველომ რვეული ქართულ მართლწერაში

- ◆ ქრებულში ნახვით თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
◆ მათი მეშვეობით გაგიაღვივდებათ საბროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
◆ თქვენ შეძლებთ დაქლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაქლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოებრივ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი - 9 ლარი

ქრებულის შექმნის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური კლასიკები დაწყებითი კლასებისთვის ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

- 1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პრეფიქსები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი
ერთი ცალის ფასი 2.50 ლარი

თემატური კლასიკები მაღალი კლასებისთვის ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

- 1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძველმეცნიერები
6. საძარტველო მცენარეები
7. სამხარის წარმოშობა
8. ნიადაგი - სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროები
11. ზღვის დინებები
12. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მწერის შინაარსი და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი სოცრება
ერთი ცალის ფასი 3 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- 1. ჰორაციუსის ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწვანეთა თაყვანისცემა - დოგენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. სტანელები - რობერტო რენუარი
9. საკვირამო გასერება ბრან შატის კუნძულზე - შორჟ სიორა
ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ქართული მწერლები

- 1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომი) I-VI ტომი - 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომი) II, III, IV, V, VII ტომი - 11 ლარი
3. ლევან გოთუბა (7-ტომი) I-II ტომი - 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომი) I-II ტომი - 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომი) I, II, VI, VIII, IX, X ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომი) I, II, V, VI ტომი - 12 ლარი
7. ვახტანგ ქვიციანიძე (9-ტომი) I-VII ტომი - 12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომი) I-V ტომი - 12 ლარი
9. ოტიან იოსელიანი (10-ტომი) I-X ტომი - 12 ლარი
10. თამაზ შილაძე (6-ტომი) I-VI ტომი - 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომი) I, III, V ტომი - 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

- 1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლენინი
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ ფშაველა
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაულო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. გენიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჯული
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

მიმდინარეობს ხელმონერა

„ასოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- თეოდორ ფონტანე - ეფი ბრისტი
- მიგელ დელიბასი - ორი რომანი
- აჰმედ ჰ. ტანვინარი - დროის ინსტიტუტი
- ჟან ჟიონო - ჰუსარი სახურავზე
- ჯოზეფ კონრადი - ლორდი ჯიმი
- რაფაელ საბათინი - ღამიური ბარათიანი ისტორიის მიღმა
- ერნსტ ჰოფმანი - სატანის ელექსირები
- ნიკოლაი გოგოლი - რჩეული მოთხრობები
- ჯონ გოლდსმითი - რჩეული მოთხრობები
- ვიქტორ ჰიუგო - ჰარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დინასტიის
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - მონტესუმა ასული
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- შოლერელო დე ლაკლო - სასიყვართო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმანელობა გულისა
- მარგარიტ დიურასი - საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან
- პროსპერ მერიმი - ილევი ვენერა
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - დონ კისოტის დაბრუნება
- სტენდალი - წითელი და შავი
- ჯონ ბრაინი - გზა ელითისაკენ
- ალბერტო მორავია - მოწყვნილობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ჯეიმზ ფ. კუპერი - ჯაშუში
- მაინ რიდი - კვარტარონი
- ვილჰელმ ჰაუფი - ლისტენშტაინი
- თეოდორ დრაიზერი - დიკო კერი
- ალბერ კოენი - დედაჩემი
- გუსტავ ფლობერი - მადამ ბოვარი
- ემილ ზოლა - ძალთა ბედნიერება




თითო ტომის ფასი - 12 ლარი




რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯინები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამშური
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმიკა
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



თითო ტომის ფასი - 9 ლარი

ხელმონერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე: მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22



ფასი - 15 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია სერიიდან ინტელექტი სკოლას



თამაზ ვასაძე ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის ფასი - 4 ლარი



თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ფასი - 10 ლარი



თამარ ბეროზაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული) ფასი - 10 ლარი

ქიმია

საატმოსფერო-საგამოსლო საკითხები და ტესტები ლ. თევზაძე ფასი - 3 ლარი

ქიმია

საატმოსფერო გამოსდინსთვის ლ. მეტრეველი ფასი - 6 ლარი

ბიოლოგია

საატმოსფერო გამოსდინსთვის ლ. ბურდულიძე, დ. ბარამიძე, ქ. მალრაძე, ნ. სინარულიძე, მ. ბაგალიშვილი ფასი - 4 ლარი

გეობრაფია

საატმოსფერო გამოსდინსთვის ბ. ჭანტურია, მ. ბლიაძე ფასი - 6 ლარი

ისტორია

საატმოსფერო გამოსდინსთვის ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურდულია ფასი - 6 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოსდინსთვის ბ. ლორთქიფანიძე, ნ. ახმეტელი, ნ. მურდულია ფასი - 9 ლარი

მათემატიკა

სნობარი აზიტურიანტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის ა. წერეთელი ფასი - 5 ლარი

ფიზიკა

საატმოსფერო გამოსდინსთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია ფასი - 6 ლარი



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტიტულაშვილის ქ. №3 ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073 www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735 ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22, რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X

